GIU № 01-01/34

11/07/2024

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს რექტორის
ბრძანება № 01-01/34

თბილისი **“11“ ივლისი, 2024 წ.**

შემოდგომის სემესტრში მობილობის ვადების, ვაკანტური ადგილების და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N10/ნ ბრძანების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს , სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-15 მუხლის, უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2024 წლის 18 ივნისის № 1.1/73 ბრძანების, სამართლის და პოლიტიკის სკოლის და ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანების წარდგინებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ში ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის და პოლიტიკის სკოლებში სტუდენტთა მობილობის განხორციელების მიზნით გამოცხადდეს ვაკანტური ადგილები შემდეგი რაოდენობითა და მიმართულებებით:

ა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

	საგანმანათლებლო პროგრამა	**ვაკანტური ადგილების რაოდენობა**	**სკოლა**
1	**ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, მარკეტინგი)**	40	**ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
2	**ტურიზმი**	20	**ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
3	**ჟურნალისტიკა**	20	**ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
4	**ფსიქოლოგია**	20	**ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**

5	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)	12	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
6	ტურიზმი (ინგლისურენოვანი)	12	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
7	სამართალი	30	სამართლის და პოლიტიკის

ბ. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:

	საგანმანათლებლო პროგრამა	ვაკანტური ადგილების რაოდენობა	სკოლა
1	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	10	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
2	მასობრივი კომუნიკაცია	10	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
3	სოციალური ფსიქოლოგია	20	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
4	სისხლის სამართალი	15	სამართლის და პოლიტიკის
5	კერძო სამართალი	15	სამართლის და პოლიტიკის

II. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ში **მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით განისაზღვროს შემდეგი ვადები:**

1. ელექტრონულ პორტალზე დადებითი შედეგის შემთხვევაში სტუდენტის უნივერსიტეტში გამოცხადების/ონლაინ რეგისტრაციის და აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის ვადა - 2024 წლის 12 სექტემბრიდან - 20 სექტემბრის ჩათვლით.
2. უნივერსიტეტში მობილობით გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა 2024 წლის 12 სექტემბრიდან -20 სექტემბრის ჩათვლით.
3. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა სამართლებრივი აქტის პროექტის უნივერსიტეტის რეესტრში ელექტრონულად ასახვის ვადა - 2024 წლის 23 სექტემბერი.
4. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე ბრძანების გამოცემის ვადა - **2024** წლის **01** ოქტომბრამდე.
5. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის ვადა - ბრძანების გამოცემიდან 2 სამუშაო დღე.
6. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების მართვის სისტემაში წარდგენის ვადა - ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღე.
7. მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემის ვადა - 2024 წლის 07 ოქტომბრამდე.
8. მობილობით გადასული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების (თანდართული ელექტრონული ვერსიით) მართვის სისტემაში წარდგენის ვადა - 2024 წლის 07 ოქტომბრამდე.

9. მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული ბრძანებიდან ამონაწერის (თანდართული დოკუმენტებით) გაცემის ვადა - სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირა.

III. განისაზღვროს 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ში **მობილობის მსურველ პირთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:**

- განცხადება (რექტორის სახელზე);
- სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის);
- სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;
- სტუდენტის სასწავლო ბარათი (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით).

IV. მობილობის პროცესის ადმინისტრირება დაევალოს ვიცე-რექტორს სასწავლო პროცესის მიმართულებით;

V. უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველთა კრედიტების აღიარების პროცესის კოორდინირება დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

VI. ბრძანების სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურს.

VII. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

VIII. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი
ჯიუ,
რექტორი,
პროფესორი
გიორგი მათიაშვილი

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ
კანცლერი
ელისაშვილი ელისო